

სასაქართველოს გუშახში



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო.

რედაქტორი: სპ. კედია. წელიწადი მესამე. № 6 ივნისი, 1934 წ.

La Sentinelle de Géorgie

ORGANE DU PARTI NATIONAL-DEMOCRATE GEORGIEN
Directeur: Sp. KEDIA. 3^e Année. JUIN 1934. PARIS.

ერთი რეზოლუციის გამო

ხალხთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა ერთაშორისო კავშირის მე-18 პლენარულმა ყრილობამ, ფოლკესტონში, მაისის გასულს, სხვათა შორის მიიღო ერთი რეზოლუცია, რომელიც საქართველოს მდგომარეობას ეხება. მოკლე ისტორიული აღწერის შემდეგ, რომ საქართველო ორი ათასი წლის განმავლობაში დამოუკიდებელი იყო; რომ რუსეთმა ეს დამოუკიდებლობა პირველად 1801 წ. მოსპო; რომ საქართველო იგი კვლავ 1918 წ. დაიბრუნა და რომ საბჭოთა რუსეთმა ეს დამოუკიდებლობა ივნის 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებით; რომ ამ დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობა მოახდინეს საზავო კონფერენციის უზენაესი საბჭოს წევრებმა 1921 წ. 27 იანვარს და შემდეგ სხვა სახელმწიფოებმაც და რომ საბჭოთა რუსეთი ამის შემდეგ საქართველოს შემოესია და დაიპყრო წინააღმდეგ საერთაშორისო ვალდებულებათა, — ხსენებული კავშირის პლენუმში ხალხთა ლიგის მომავალ ყრილობას მოაგონებს საქართველოს ამ მდგომარეობას და იმ რეზოლუციას, რომელიც მან მიიღო 1922 და 1924 წწ. და სადაც იგი მოუწოდებდა საბჭოს, რომ მას „გულმოდგინებით თვალყური ედევნებინა მოვლენათა განვითარებისათვის ამ ქვეყანაში და მოხერხებული შემთხვევის დროს ხელი შეეწყოს, პაციფიური და საერთაშორისო უფლების წესებთან შეფარდებული საშუალებებით, მის ნორმალურ პირობებში ჩაყენებისათვის“.

ეს რეზოლუცია, საიდანაც განდევნილია ის სპეციფიური ელემენტი, რომელიც მის ქართ. ავტორებს პირვანდელ ტექსტში ქონდა შეტანილი, უშუალოდ დაკავშირებულია რუსეთის ხალხთა ლიგაში შესვლის გადაწყვეტილებასთან და მოაგონებს რა ხალხთა ლიგას, 1922 და 1924 წწ. რეზოლუციების სახით, თავის თავზე საქართველოს მიმართ აღებულ ვალდებულებას, მას აზრახებს გამოიყენოს მომავალი „მოხერხებული შემთხვევა“ — რუსეთის ლიგაში შემოსვლა — და საქართველოდან საოკუპაციო ჯარები გააყვანიოს და მით საქართველო ნორმალურ პირობებს დაუბრუნოს.

ეს არის აზრი და განზრახვა ამ რეზოლუციისა. რაც შეეხება მის შედეგს, არავინ არის გულუბრყვილო და არავის სჯერა, რომ ხალხთა ლიგა რუსეთს საქართველოდან აყრის და ქართველ ხალხს დამოუკიდებლობას მიანიჭებს.

ცხად ყოფილია, რომ პატარა ერების გამოქობა და მპყრობელთა წინააღმდეგ ლიგას არ შეუძლიან. მიუხედავად მის წევრთა ფორმალური თანასწორობისა, ხალხთა ლიგა არსებითად დიდ სახელმწიფოთა გავლენისა და მათი ინტერესების საბატონო ასპარეზია. ხოლო ამ დიდ სახელმწიფოთა შორის არ არის არც ერთი ისეთი, რომელიც ძალმომრეობის გზით და წინააღმდეგ ყოველგვარი უფლებისა რომელსაზეც ერზე ან გაბატონებული არ იყოს, ან გაბატონებულს არ ცდილობდეს. აშკარაა ამი-

ტომ, ვერც ერთი მათგანი არსებითად ერთა განთავისუფლების პრინციპს ისე ვერ დაადგება, რომ ამასთან ერთად თავის საკუთარ ბატონობასაც საფუძველი არ გამოუთხაროს. ამ ფაქტიური მდგომარეობიდან წარმოსდგება დიდი იმპერიალისტური ერების არა მარტო ერთმანეთის დაზოგვის პოლიტიკა ამ სფეროში, არამედ მათი რეალური ცდები ერთმანეთთან შეთანხმებისა იმისათვის, რომ დაპყრობილ ქვეყნებში, გაერთიანებული ძალებით, მორჩილება და „სიმშვიდე“ ამუღმივონ.

ასეთია ნორმალური ბუნება დღევანდელი ლიგისა და ამიტომ იგი ვერასოდეს ვერ წარმოშობს რომელიმე დაპყრობილი ერის განთავისუფლების თაოსნობას. არა მარტო ეს. მისი არსებობის ისტორია ცხად ჰყოფს იმასაც, რომ ის დროზე და რეალურად ვერ გამოქობავება ვერც ერთს, საერთაშორისო ძალთა ჭიდილში კეთილი შემთხვევით, უცხო უფლისაგან განთავისუფლებულ ერს, მაგ. ბალტიის ქვეყნები და საქართველო 1920 წ. და რომ, მით უმეტეს, ის ვერავითარ რეალურ დახმარებას ვერ აღმოუჩენს, ოკუპანტების წინააღმდეგ ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად აჯანყებულ ქვეყანას, მაგ. იგივე საქართველო 1924 წ.

გამორკვეულია ისიც, რომ „პაციფიური და საერთაშორისო წესებთან შეფარდებულ საშუალებებით“ ის ვერც თვით წევრთა შორის ატეხილ დავას მოაგვარებს, მაგ. ჩინეთი და იაპონია, 1932 წ. ამგვარად, ცხოვრების მაგალითებზე დამტკიცებულია, რომ ხალხთა ლიგა უძლურია იმ მოვალეობათა აღსრულებაში, რომელიც მას თავის თავზე აქვს აღებული, იმ ნორმების დაცვაში, რომელზედაც იგია აწინებული. ხან იმიტომ, რომ, მისი იმპერიალისტური წევრების წყალობით, თვით მისი ძირეული პრინციპია გაყალბებული, ხანაც იმიტომ, რომ მას აკლია სათანადო ორგანიზაცია და მოქმედების ნივთიერი მხარე.

ლიგის ეს ორჭოფული მდგომარეობა, კონფლიქტი მის პრინციპსა და მოქმედებას შორის, მისი უძლურება ხელის გამოსაწოდებლად დაჩაგრული ერის მიმართ, არა ერთხელ ყოფილა საზეიმოდ აღიარებული თვით ლიგისავე წიაღში.

ამ თითხმეტი წლის წინად, როდესაც ლიგაში პირველად დაისვა საქართველოს წევრად მიღების საკითხი, ამას წინ აღუდგა საფრანგეთი და ინგლისი. პირველის მთავრობის თავჯდომარემ და მეორის განათლების მინისტრმა საქართველოს მიღების მომხრეებს განუცხადეს, რომ ლიგა დაინტერესებულ ქვეყნებს ტყუილ იმედებს ვერ აღუძრავდა და დახმარებას ვერავის შეპირდებოდა, რადგან დაპირებულის შესრულება მას არ შეეძლო; რომ კერძოდ მამაც ქართველ ხალხს იგი ნივთიერ დახმარებას ვერ მიაშველებდა, როდესაც მას ამის საჭიროება დაუდგებოდა და სხ. ამ მოსაზრებით ამ ორი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ სხვებსაც, მათ მზავესად, საქართველოს მიღების

წინააღმდეგ მიეცათ თავიანთი ხმები და როგორც ვიცით, საქართველოს კანდიდატურა უკუგდებულ იქმნა.

დღესაც, ქალაქ ფოლკესტონში, ხალხთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა კავშირის პლენარულ ყრილობაზე, ამ ორი სახელმწიფოს დელეგაციები წაყვინდნენ წინააღმდეგ ქართული დელეგაციის პირვანდელი ტექსტისა, სადაც ნიშნობლივად ნათქვამი იყო, რომ ხალხთა ლიგას რუსეთისათვის მოეთხოვრა, როგორც წევრად მიღების წინასწარი პირობა, საქართველოდან ჯარების გაყვანა, რომ, თანახმად ლიგისავე წინანდელი რეზოლუციებისა, ეს ქვეყანა ნორმალურ პირობებს დაბრუნებოდა.

აქ მათ განაცხადეს, რომ რუსეთი დიდი ქვეყანა იყო, რომ მის ლიგაში შემოსვლას დიდი საერთაშორისო დამზავებული ნიშნელობა ექნებოდა და ამიტომ მას საქართველოს გულისათვის, თუმცა ამ უკანასკნელს დიდი სიმპატიებით უყურებდნენ, ხელს ვერ ჰკრავდნენ. და ქართული დელეგაცია იძულებული შეიქმნა თავისი პირვანდელი ტექსტი შეეცვალა.

ასეთია აზროვნება და სამართალი ენევის ხალხთა ლიგისა და მის დასახმარებლად დაარსებულ ასოციაციათა კავშირისა, რამდენათაც იქაც და აქაც გაბატონებულია დიდი მპყრობელი ერების გავლენა.

ამ ცხადი ფაქტების წინაშე არავის რჩება უბრალო ილუზიის უფლებაც კი.

ამიტომაც, ხალხთა ლიგის მომავალმა ყრილობამ ფოლკესტონის ყრილობის რეკომენდაცია კიდევაც რომ მოისმინოს, ამით ჩვენს წამხდარ საქმეს არაფერი ეშველება. საქართველოზე თითო-ორიოლა თბილი სიტყვა წარმოითქმება და საქმე ამით გათავდება. რუსეთი ხალხთა ლიგაში მიღებული იქნება და მის მიერ საქართველოს ოკუპაცია შეწყნარებული.

არასოდეს ლიგაში და ლიგის გზით „პაციფიური და საერთაშორისო უფლების წესებთან შეფარდებული საშუალებებით“ საქართველოს პრობლემა არ გადაიჭრება. ამიტომ ლიგაზე იმედის დამყარება დიდი გულუბრყვილობა და მასთან ჩვენი ხალხის შეცდომაში შეყვანა იქნებოდა. არასოდეს ლიგის მნიშვნელობა ჩვენი მდგომარეობის ხალხებისათვის უბრალო პოლიტიკური პროპაგანდის ასპარეზს არ ვასცილებდებოდა და ეს კიდევ უკეთეს შემთხვევაში.

საქართველოს პრობლემის გადაჭრის ნამდვილი შესაძლებლობა იმ ორგანიზულ დაპირისპირებაში ძვეს, რომელიც დრო და დრო დიდ სახელმწიფოებს ერთმანეთს შეატაკებს ხოლმე. ისტორიულად ეს ყოფილა პატარა ერების განთავისუფლების ნორმალური გზა. ჩვენი უკანასკნელი დროის დამოუკიდებლობაც ამ წესით წარმოიშვა დღევანდელ სტადიაში ყველაზე საიმედო ფაქტორი კიდევ ეს არის. ეს უფრო რეალური და ჩქარი გზაა ჩვენი განთავისუფლების სამწუხაროა, მაგრამ ეს ასეა.

ჩვენ არა ვართ ომისა და სისხლის ღვრის აპოლოგეტები და არც არავითარი წილი გვქვია მის გამოწვევაში. მაგრამ ობიექტი-

მოკლენების კვალ და კვალ

I

საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა აშკარა გამოსწორებას დაადგა იმ მომენტიდან, რაც საფრანგეთმა, ერთი მხრით ინგლისის გამუდმებული უარის წინაშე რომ მასთან თავდაცვის კავშირი შეეკრა და მეორის მხრით გერმანიის შეიარაღების წინაშე, გადასწყვიტა ისევ რუსეთს დაახლოვებოდა. მართალია, დღევანდელი რუსეთისადმი საფრანგეთს დიდი სიმპატია არ აქვს და რომ არჩევანი ყოფილიყო, ის მას სიამოვნებით დასთმობდა და საქმის დაკერას ინგლისთან ამჯობინებდა. მაგრამ ინგლისი, როგორც ვიცით, ასე ადვილად არ ეთხოვება თავის ტრადიციას — განზე ყოფნას; მას არ უყვარს წინ და წინ ხელფების შეკვრა და მოქმედების თავისუფლების დაკარგვა; მას ურჩევნია, რაც შეიძლება უფრო თავისუფალი იყოს და ატეხილ ომში მესამე მასურებელ მხარეს წარმოადგენდეს, რომ მხოლოდ მაშინ ჩაერიოს, როდესაც ეს მისთვის უფრო ხელსაყრელია. ეს პოლიტიკა მას საუკუნოებით აქვს დაცლილი და მიღწეული შედეგების მიხედვით საბუთი აქვს, რომ ძველი ნდობა და პატივი მას დღესაც შეუუნახოს. რა ვუყოთ რომ დღეს აეროპლანის ეპოქაა და რომ სივრცის ცნება თითქმის განადგურებულია. მას თავის თავი ისევ ძველ საუკუნეებში ჰგონია, როდესაც მისი კუნძულის განდგომილი მდგომარეობა მას უკარნახებდა ევროპის კონტინენტის პოლიტიკისაგან სრულიად განსხვავებულ პოლიტიკას და თავდაცვის ხელოვნებას. ერები ერთ დღეში არ იცვლიან ხასიათს, არც ერთ საუკუნეში. საფრანგეთიც მიჰყვა თავის ტრადიციის ძალას, ანგარიში არ გაუწია რუსეთის რეჟიმის მრავალ ოდიოზურ მხარეს და სულ არაობას მასთან დამეგობრება არჩია. ეს მით უფრო ადვილი იყო მისთვის, რომ დიდის გრძობით მას არც ძველი რუსეთის რეჟიმი ჰყვარებია. საფრანგეთის ამ გადაწყვეტილებამ საბჭოთა რუსეთს ზედ სულზე მოუსწრო. საშინელი შინაური კრიზისი და ახილი საფრთხე აღმოსავლეთში. სხეულში ნამდვილი სიკვდილის შიში ჰქონდა შემდგარი. სწორედ ამ დროს საფრანგეთმა მას მიუტანა არა მარტო წმინდა ფრანგული რესურსები, არამედ მთელი თავისი საერთაშორისო კავშირები. თუ პირველი უმთავრესად რუსეთის შინაგანი, უფრო კერძოდ კი, საშხედრო ძლიერების გადიდებისაკენ იყო მიმართული, მეორე მის საგარეო მდგომარეობის განმტკიცებას ემსახურებოდა.

დიდი რეალური საფუძველი და მორალურ-სახელმწიფოებრივი მოსაზრება ედო საძირკვლად იმ გარემოებას, რომ ეს ვეებერთელა რუსეთი ნორმალურ ურთიერურად და შედეგების მიხედვით — ეს იქნება დაჩაგრულ ერთა გათელილი უფლებების ბუნებრივი შურისძიება.



თობიდან შეგნებულად ჰყავდათ გამორიცხული მთელ რიგ სახელმწიფოებს და რომ მას არ ცნობდნენ სწორედ იმ რეჟიმის გამო, რომელიც იქ იყო გამეფებული, თუმცა თვით რეჟიმის სიმტკიცე მისი 15-16 წლის არსებობით იყო უკვე საკმაოდ შემოწმებული.

საფრანგეთის გავლენით ეს დაბრკოლება ძლიერ იქმნა და საბჭოთა რუსეთის იურიდიული ცნობა ამ ქვეყნებში ჩქარის ნაბიჯით წავიდა. მცირე ანტანტის პერმანენტულმა საბჭომ უკვე მიიღო გარდაწყვეტილება რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. მისი ორი წევრი — რუმინია და ჩეხოსლოვაკია მასთან ურთიერთობაში უკვე შევიდა. რაც შეეხება მესამეს — იუგოსლავიას — ეს ალბად დღეების ან რამოდენიმე კვირის საკითხია.

ამავე დროს დიდი ამბით მზადდება რუსეთის ხალხთა ლიგაში შესვლის მიღება. ევროპის დიდი სახელმწიფოები ერთი მერეს ასწრებენ, რომ რუსეთს კეთილი მოზრძანების სურვილები გამოუტყვადონ. თქმა არ უნდა, ეს თავის თავად რუსეთისთვის დიდი დიპლომატიური გამარჯვებაა, რომელსაც საბჭოთა პუბლიცისტები, რასაკვირველია, ლიტერატურის პირად ნიჭსა და უნარს მიაწერენ. თუმცა ნამდვილად და არსებითად, ეს არის საფრანგეთის დიპლომატიის გამარჯვება.

მაგრამ საფრანგეთის დიპლომატიის ობიექტი ამით არ თავდება. მას მარტო რუსეთის იურიდიული ცნობის აქტები კი არ აინტერესებს, არამედ ის, რაც მას უნდა მოჰყვეს. ხოლო ამას უნდა მოჰყვეს ყველა ამ ქვეყნის ერთმანეთზე სამხედრო კავშირით გადაბმა, ერთმანეთის დაცვისა და დახმავების პაქტი. საფრანგეთის მარში ბალკანეთისაკენ არც მცირე ანტანტის საზღვრებზე ჩერდება. მას მიზნად აქვს რომ ამ რკალში შემოიყვანოს აგრეთვე ბალკანეთის პაქტის დამდები ქვეყნებიც. ამ მხრივ რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა და ბულგარეთის უკანასკნელი დროის საგარეო ევოლუცია იმას ამჟღავნებს, რომ საფრანგეთის ამ მიზანს ნიადაგი უკვე შემზადებული აქვს. საფრანგეთის მთელი ეს გეგმა დიდი გაშლილობის საგარეო ანტრეპრიზას წარმოადგენს. ამის განხორციელება თუ ერთის მხრით საფრანგეთის გავლენას ზრდის და ვერსალის ზავით შექმნილ სტატუს ქვოს დიდ დამცველ ფაქტორს უქმნის, მეორეს მხრით იგი საბჭოთა რუსეთს საცხებით არიდებს დასავლეთის მხრიდან თავდასხმის საშიშროებას და მისთვის მთელ ამ ამბავში მნიშვნელობა სწორედ ამ გარემოებას ეძლევა. ამის წყალობით რუსეთს საშუალება ეძლევა, რომ მთელი თავისი ძალდონე აღმოსავლეთისაკენ მიმართოს, სადაც მას მართლაც ნამდვილი საფრთხე მოელოს. მაგრამ საკითხავია, მთელი ეს მისი ძალდონე და დიპლომატიური გამარჯვებანი დასავლეთის მხარეში აღმოსავლეთის საფრთხეს გაუმკლავდებიან თუ არა. ყველაფერი ამბობს, რომ არა.

გარედანი

„გამყრელიძის წერილის“ ბაზმი

როგორც ვიცით, „გამყრელიძის წერილის“ შინაარსის სიყალბე და მისი ცილისწამებრივი ხასიათი პირველ დღიდანვე ცხადი იყო ყოველ ჩვენ საქმეებთან გაცნობილი ადამიანისათვის. მით უფრო ცხადი იყო ის იმ ხალხისათვის, რომლის ერთი ნაწილი დღესაც ებღუთება საქართველოს მთავრობის უფლებებს. ხოლო მეორე შეადგენს ეგრედ წოდებულ „პოლიტიკურ ცენტრს“. მართლაც, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ „მთავრობისა“ და „პოლიტიკური ცენტრის“ წევრებმა არ იცოდნენ მაგალითად ის, რომ ნაც.დემ. პარტიის მათდამი ოპოზიციურად განწყობილი ნაწილის კონფერენცია არ მომხდარა, და მათასადა-

მე, გამყრელიძის არ შეეძლო არ მომხდარი კონფერენციის ოქმების ნახვა. ან რომ დემიდოვი იყო ბოლშევიკების საელჩოს „ატაშე“ და არა „მეორე მდივანი“ — ამ გარემოების გამოსარკვევად ხომ საკმარისი იყო ჩვენ საელჩოში არსებული საფრანგეთის საგარეო სამინისტროს მიერ გამოცემული „დიპლომატიური ფურცელის“ გადათვალეობა; ან კიდევ, რომ ბ. ქარუმიძე ბოლშევიკებთან არ გაქცეულა და რომ მისი მონაწილეობა ჩერვონცევის საქმეში არა ბოლშევიკური, არამედ ანტიბოლშევიკური მოტივებით იყო გამოწვეული, როგორც ეს მისმა პროცესმა გამოარკვია.

მიუხედავად ამისა, როგორც „მთავრობამ“, ისე პოლიტიკურმა ცენტრმა“ პირში წყალი ჩაიგუბეს, თითქოს ეს „წერილი“ მათ არანაირად არ ეხებოდეს. რატომ? განა სიმართლის აღდგენა და ემიგრაციის კეთილი სახელის დაცვა არ არის მთავრობისა და საერთოდ ხელმძღვანელ პოლიტიკურ ორგანოთა ერთი უპირველესი მოვალეობათაგანი? განა მთავრობა, თუ ის მართლა მთავრობა არის და სწორედ ესმის თავისი მდგომარეობა, არ არის მოვალე გადადგას სათანადო ნაბიჯები და ისედაც უსაზღვროდ დატანჯულ უსამშობლო ქართველობას თავიდან მოაშოროს ვიღაც ნაძირალა ადამიანის მიერ თავზე მოხვეული ცილისწამებანი?

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ მათ ამგვარ მოქმედებას ხელს უშლიდა კოლონიის მიერ საგამომძიებლო კომისიის დაარსება, რომ თითქოს მათთვის უხერხული იქნებოდა გამოძიების დასრულებამდე საქმეში ჩარევა. ეს აზრი არ არის საფუძვლიანი, და აი რატომ: —

ჯერ ერთი რომ ზემო-მოყვანილ და ზოგიერთ სხვა ამბავთა უარსაყოფად არავითარი გამოძიება არ იყო საჭირო, — მათი სიყალბე, ვიმეორებთ, თავიდანვე და ყველასათვის ცხადი იყო; შემდეგ, თვით გამყრელიძე, როგორც პოლიტიკურად, ისე მორალურად, იმდენად საეჭვო პიროვნება იყო, რომ დიდად გავრცელებული გაზეთის მიერ ასეთი ადამიანის ქართულ ოფიციალურ წრეებთან დაკავშირებული ორგანიზაციის თანამშრომლად და თითქმის ეროვნულ გმირად გამოცხადება მოითხოვდა ქართული საქმის ხელმძღვანელ ორგანოთაგან გარკვეულ ნაბიჯებს ყოველივე გამოძიების გრეშე და დაუცდელად: ეს მათი უაპელაციო მოვალეობის საგანს შეადგენდა.

და კიდევ: ვაიარა თითქმის რვა თვემ, რაც საგამომძიებლო კომისიამ თავისი გამოძიება დაამთავრა და დაასკვნა, რომ გამყრელიძე არის ჯაშუში და საერთოდ კრიმინალური ტიპი, რომ წერილი მისი სიყალბეზეა აგებული და სხვა. რაც მან ეს მოსენება დაბეჭდა და დაუგზავნა სხვათა შორის „მთავრობისა“ და „პოლიტიკური ცენტრის“ წევრთ. მიუხედავად ამისა არც ერთ მათგანს სიჩუმე არ დაურღვევია და დღესაც კიდევ „გამყრელიძის წერილი“ განავრცობს კანონიერ არსებობას, ხოლო თვით გამყრელიძე ეროვნულ გმირად გამოცხადებული რჩება.

როგორც ვიცით, „გამყრელიძის წერილის“ გამო და თავის დროზე „პოლიტიკურმა ცენტრმა“ გამოჰყო თავის შემადგენლობიდან სამწევრიანი კომისია. რასაკვირველია, ამ კომისიის წევრთა აზრი, როგორც თვით წერილისა, ისე მისი წინასიტყვაობის შესახებ, დიდ ინტერესს წარმოადგენს. აი ეს აზრები: —

„ჩვენ შევიტხვარე“ — ამბობს კოლონიის კომისია, რომელმაც მათ დაჰკითხა, — „პარტიათა წარმომადგენლების (ე. ი. პოლიტიკური ცენტრის. -კ-ი.) კომისიის წევრებმა ერთხმად განაცხადეს, რომ მათ გამყრელიძის წერილის დაბეჭდვასთან და არც რასაკვირველია, მის წინასიტყვაობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ და არც არა-

ფერი იციან ამის შესახებ. პირიქით, ერთი მათგანი ამტკიცებდა (ბ-ნი ივ. ზურაბიშვილი), რომ ამ წერილის და მისი წინასიტყვაობის უარყოფა (დემანტი) საჭიროაო. ამასვე ფიქრობს მეორე წევრიც, ალ. ასათიანი (გვ. 14), რომელმაც სთქვა, რომ კოლონიის მიერ კომისიის არჩევამ მათ ამაში ხელი შეუშალა (რატომ და რანაირად? -კ-ი) მესამე წევრი ბ. გვარჯალაძე (მისი ჩვენება გვ. 2) ამბობს: „კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ამ წინასიტყვაობასთან კომისიას კავშირი არა აქვს და რედაქციის შენიშვნაში აღნიშნული სიტყვები მას არ ეკუთვნის. რედაქციის წინასიტყვაობის დემანტი კომისიის მხრივ უსათუოდ საჭირო იყო“ — ო.

როგორც ვხედავთ, „პოლიტიკური ცენტრის“ კომისიის წევრთა აზრი მეტისმეტად გარკვეული და ერთსულოვანია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მიერ საჭიროდ ცნობილი დემანტი დღესაც არ არსებობს.

მაღე „პოლიტიკური ცენტრის“ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ბ-ნმა ვაკარმა, „პოსლედნია ნოვოსტის“ თანამშრომელმა, პირდაპირ დაადო ხელი „პოლიტიკურ ცენტრს“ და სთქვა, რომ მისი ინფორმატორები სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. აი სათანადო ადგილი კოლონიის საგამომძიებლო კომისიის მოხსენებიდან: —

„ამასთანავე მან (ბ. ვაკარმა. -კ-ი.) კატეგორიულად განაცხადა, რომ მისი ინფორმატორები არ არიან კომისიის წევრები: ბბ.

შპანასკნელი არჩევნებიდან ღუმერბამდე

1932 წლის არჩევნებმა საფრანგეთში, დიდი უმრავლესობა მისცეს ეგრედ-წოდებულ მემარცხენეთა კარტელს და ამ განაჩენით ქვეყნის ბედი მას ჩააბარეს.

ამ პოლიტიკურ დაჯგუფებაში, საარჩევნო კომბინაციამ მოათვსა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ძალა, ორი ერთმანეთთან შეურიგებელი დოკტრინა, ორი კაცი სხვა და სხვა პოლიტიკური კონცეპციის სხვა და სხვა რასის — ელუარდ ჰერიო და ლეონ ბლოუმი. ძველი ფრანგული რადიკალიზმი და ეროვნულად უცხო მარქსიზმი. ცხადი იყო, რომ ეს კავშირი მეტად უძლეო იქნებოდა; აშკარა იყო, რომ რადიკალები, რომელნიც თავიანთ თავსა ამაყად იმ იაკობინელთა მემკვიდრეებად სთვლიან, რომელთაც ერი უზენაეს სათაყვანო არსად აღიარეს და პატრიოტიზმი უდიდეს სათნოებად, ვერ შეეთვისებოდნენ სოციალისტების ინტერნაციონალურსა და ანტიეროვნულ მარქსიზმს. და როგორც მოსალოდნელი იყო, დაიწყო სამინისტროთა კისრის მტკრევა. ჰერიო, პოლ-ბონკური, დალაღი, სარო, შოტანი ისევ დალაღი, — აი სია იმ პრემიერებისა, რომელთაც თვრამეტიოდე თვეში სცადეს პირველი როლი შეენარჩუნებინათ პოლიტიკურ სცენაზე.

ერთი რამ აშკარა გახდა გარეშე მყურებლებისათვის, რომ მემარცხენეთა კარტელი მეტად მაგარი საარჩევნო ორგანიზაცია იყო. მხოლოდ მეტად უუნარო კონგლომერატი ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

ამდენი სამინისტრო კრიზისი ამ მოკლე ხანში, გამოწვეული იყო კარტელის ორ დიდ დაჯგუფებათა შორის არსებული დოკტრინალური ანტაგონიზმით.

სოციალისტური ბანაკის გაუმძღრი და მსუნაგი მოთხოვნილებები ქვეყნის ფინანსებსა და მის სახელმწიფო აპარატს პირდაპირ კატასტროფისაკენ მიაქანებდნენ.

აი ამ მომენტში თავი იჩინა ი მ ლევენდარულმა სკანდალმა, რომელიც ისტორიაში სტავისკისა და ბევრი მემარცხენე კარტელის ვედეტის სახელთან იქნება დაკავშირებული.

ამ სკანდალმა გაატიტვლა ის ზნე-ჩვეულება და ყოფაქცევა, რომელიც ამ კარტელში ყოფილა გამეფებული; რაღაც სასწაულით ამ სკანდალში მონაწილეობის მო-

გვარჯალაძე, ქავთარაძე, ასათიანი, „გაბაშვილი და ზურაბიშვილი („პოლიტიკ. ცენტრის“ ერთი ნაწილი. -კ-ი.) და თავის განცვიფრება გამოსთქვა, თუ რატომ დაკითხულ არ იყვნენ „გაერთიანებული ცენტრის (ე. ი. „პოლიტიკ. ცენტრის. -კ-ი.) ხელმძღვანელები“, „რომელთა წინაშე, უეჭველია, კომისიამ ანგარიშები წარადგინა“ — ო. „ერთი სიტყვით“ — ო, დაასკვნის საგამომძიებლო კომისია, ბ. ვაკარმა გვიტხრა, რომ „ჩემი ინფორმატორები, რომელთა პასუხისმგებლობით გამყრელიძის წერილი დაგებულ, თქვენს მეთაურთა შორის ეძებეთა“.

აქ უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ბ-ნ ვაკარის ჩვენებების ოქმთა ასლები ჯერ კიდევ წასული წლის ენკენისთვეში, ე. ი. 9-10 თვის წინად გაეგზავნა „პოლიტიკური ცენტრის“ და „მთავრობის“ თავჯდომარეს ბ-ნ ნ. ჟორდანისა, და უნდა ვიგულისხმოთ, მოხსენდათ ამ ორგანოთა შემადგენლობასაც. მოსალოდნელი იყო, რომ ესლა მაინც გავიგონებდით რუსული გაზეთის თანამშრომლის გარკვეულ მძიმე ბრალდების უარყოფას. ამაოდ! დღესაც ისევე, როგორც აქამდე, გამეფებულია სამარისებური სიჩუმე, და „გამყრელიძის წერილი“ აღსავე ბოროტი ცილისწამებით, წისქვილის ქვასავით ჰკილია კისერზე „პოლიტიკურ ცენტრს“ და მის ხელმძღვანელობას.

კალამი.

ნობოლია სწორედ მემარცხენეთა კარტელის პასუხისმგებელ მოღვაწეებს აუღიათ ხელში, — დღეს ციხეში ორი ამ კარტელის დეპუტატი ზის და რამოდენიმე დეპუტატი და სენატორი ასეთივე პერსპექტივის მოლოდინში არიან.

ამ გარემოებამ ალაშფოთა საზოგადოებრივი აზრი. ყველასათვის აშკარა გახდა ის საშიშროება, რომელიც ქვეყნას მოელოდა. და იმათ, ვინც, რიდი ომის დროს, თავიანთი სისხლის დაღვრით დაამტკიცეს, თუ რა უზენაეს სათაყვანო საგანს წარმოადგენდა მათთვის სამშობლო, სწორედ ამ ძველმა მეომრებმა, გამოიტანეს პარიზის ქუჩებზე თუთხმეტი წლის განმავლობაში დაკეცილი დროშები, რომ მოეხდინათ თვითონ ღრმა აღშფოთების დემონსტრაცია ამ სამარცხენო ზნეთა წინააღმდეგ. მათ მიემატენ ახალგაზრდა პატრიოტთა რაზმები, — ის ჰაბუკნი, რომელნიც მომავალში, საქიროების დროს, თავიანთ ღირსეულ წინაპრებს შესცვლიან და მათთან ერთად სხვა პატრიოტული ორგანიზაციები.

ეს იყო 6 თებევალს საღამოს შვიდ საათზე.

უთვალავი ხალხი, რომელიც თავის აღშფოთებას და ზიზღს გამოსთქვამდა, მოადგა კონკორდის დიდ მოედანს და გაემართა პარლამენტისაკენ, რათა თავისი აღშფოთება გამოეთქვა ამ დაწესებულების მიმართ, რომლის წიაღში ამდენი უღირსნი ქმნილებანი აღმოჩნდნენ.

კონკორდის ხიღს რესპუბლიკანური გვარდია და შეიარაღებული ძალა იცავდა; ხალხს უკრძალავდნენ თავიანთ წარმომადგენლებთან ლაპარაკს, ამავე წარმომადგენლების უმრავლესობის სახელით.

ხშირი სროლა და კონკორდის მოედანი, ოდესღაც რევოლუციის მოედანი, სადაც საზარტული გილიოტინა იყო აღმართული, ერთხელ კიდევ მოირწყო ფრანგული სისხლით. ერთხელ კიდევ გახდა მოწმე კოლეკტიური ხოცვა-ჟლეტის და ვინ იყო მსხვერპლი ამ აკტისა, რომელმაც ალაშფოთა მთელი საფრანგეთი?

ძველი მეომრები, ვინც თავიანთი სიცოცხლით ოთხი წლის განმავლობაში იცავდნენ სამშობლოს, ახალგაზრდა პატრიოტები, მცირე-წლოვანი მოსწავლეები. —

რევოლუციის გაუმადლარმა მოედანმა ერთხელ კიდევ შესვა უმანკო სისხლი.

ეს იყო 6 თებერვლის რვიდან ათ საათამდე.

მეორე დღეს აღწვთებდას საზღვარი არ ჰქონდა.

ყოფილ მეომართა კავშირი, ახალგაზრდა პატრიოტები, ცეცხლის ჯვარი და სხვა პატრიოტული ორგანიზაციები აშკარად იმუქრებოდნენ იარაღით გამოსვლას.

მთვრობა, რომელიც დაღვრილი სისხლის პასუხისმგებლობის ქვეშ იდრიკებოდა, საყოველთაო ზიზღის საგანი გახდა და ის იძულებული იყო გაქვეუდროყო.

მდგომარეობის სიმძიმე ყველასათვის ცხადი იყო და ამ გარემოებამ ნება არ მისცა „ტურნეფოის განდევნის“ დიდ პატრიოტს, ყოფილ პრეზიდენტ ღუმერგს, უარი ეთქვა პრეზიდენტ ღუმერგის და სენატისა და პალატის თავჯდომარეების თხოვნაზე მთავრობა შეედგინა.

ის ენტუზიაზმი, რომლითაც პარიზი შეხვდა ღუმერგს, აშკარა დემონსტრაცია იყო არსებულ მოვლენათა წინააღმდეგ. ღუმერგი შეუდგა პიროვნული მთავრობის შედგენას, რომელმაც გააერთიანა მარცხ-ტარდიოდან — პერიო მარკემდე ყველა პოლიტიკური ძალა; კონკორდის მოედანზე დაღვრილმა სისხლმა დაანახვა ყველას მთელი ოლიოზური მხარე სამოქალაქო ომისა. მხოლოდ სოციალისტებისა და კომუნისტებისათვის უქმად ჩააარა 6 თებერვალმა, მათ მშობლიური სტიქიის სუნი ეცათ ამ დღეს და სამოქალაქო ომის გაღრმავება მოინდომეს. მათი ცდა სამარცხვინოდ დამარცხდა თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამოდენიმე გაძარცულ ღუქანს გარდელესტის მახლობლად.

ცხოვრებამ ნორმალური ხასიათი მიიღო, ეროვნულმა მთავრობამ დაუბრუნა ნდობა სახელმწიფოს, გააჯანსაღა მისი ფინანსები და შემოქმედებითი მუშაობა დაიწყო. ოპოზიცია? ბლიუმი თავის არმიით და კომუნისტები. დღეს ეს ორი ძალა ხელიხელ ჩაკიდული ერთად გამოდიან. ხდება მათი თანამშრომლობის და ძმობის დემონსტრაცია. ამ მხრივ საყურადღებო მაგალითების მოწმენი გავხდით. ამ სამიოდე თვისწინად პატრიოტ დეპუტატ იბარნავარეის მიტინგს ბიარიცში თავს ესხმის ქვებით და სხვა ამგვარ რაინდულ იარაღით შემკული. სოციალისტური - კომუნისტური ბრბოები, მიტინგი მაინც მთავრდება.

რეიმში ყირონდის დეპუტატს ენრიოს მიტინგს იმავე სოციალისტთა და კომუნისტთა შეკავშირება ესხმის თავს. მიტინგი აქაც მთავრდება, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ნანტის საკანონმდებლო არჩევნები, სადაც ორი ძალა დაეტაკა: ეროვნული მთლიანობა და ანტიეროვნული კოალიცია; ამ უკანასკნელის სულის ჩამდგმელი იყო ყოფილი დეპუტატი გასტონ ბერჟერი, რომელმაც დემონსტრაციულად უარი განაცხადა თავის მანდატზე, რათა ეროვნულ პოლიტიკისათვის ბრძოლა მიეცა; ის მოითხოვდა ამრჩევლებისაგან მისი პოზიციის პლემბისციტს. ამომრჩეველთა პასუხი მეტად სამწუხარო აღმოჩნდა ანტიეროვნული ნეოკარტელისათვის, ბერჟერი დამარცხდა და გავიდა ეროვნული მთლიანობის კანდიდატი როეე სარე.

ამ მარცხმა მეტად განარისხა სოციალისტები და კომუნისტები და ხალხის განაჩენს მათ ერთად, ძმურად სოციალისტური და კომუნისტური პასუხი ვასცეს ე. ი. ჩამატვრიეს რამოდენიმე ფანჯარა მოწინააღმდეგეთა ბინებში. ერთი სიტყვით, ყველგან ერთი და იგივე სურათი სოციალისტებისა და კომუნისტების საერთო მოქმედებისა, მათი პრესაც ადასტურებს ამ გარემოებას.

7 ივლისის ნომერში ვახუთი „პოპულერი სა“ ვკითხულობთ, რომ არაგოს სკოლის და-

რბაში უნდა მომხდარიყო მიტინგი ახალგაზრდა პატრიოტების, ჩვენ მივედით იქ, ჩვენ მოგვემატენ ჩვენი ამხანაგები, ახალგაზრდა კომუნისტები, მაგრამ ახალგაზრდა პატრიოტები არ გამოცხადდნენ, თორემ ჩვენ მათ ვუჩვენებდით მუშურ აღწვთებდასო.

პარლამენტში კიდევ მათ შეთანხმებულ და შეხმატებილებულ მუშაობაში დისონანს ვერ დაინახავთ, ისინი მედგრად ებრძვიან ღუმერგის ეროვნულ პოლიტიკას. ამ დღეებში სამხედრო ბიუჯეტს არჩევდნენ, სოციალისტები და კომუნისტები ერთად ებრძოდნენ ეროვნული თავდაცვის პროექტს. დებატის დროს ღუმერგმა განაცხადა: „პალატამ პროექტი უნდა მიიღოს, მე ვითხოვ მისგან ნდობას. თუ ეს არ იქნება მე ჩემს დასკვნებს გავაკეთებ“-ო. პალატამ დიდის უმ-

ბ-ნ ბაბაშვილის მოხსენებაზე

იენისის 17-ს ბ-ნმა რ. გაბაშვილმა წაიკითხა თავისი მოხსენების მეორე ნაწილი რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომზე. სამწუხაროდ მომხსენებელმა ვერ დაიცვა თავიდან აღებული სიმართლის ხაზი და ეს მოხსენება სრულიად ეწინააღმდეგებოდა პირველ ნაწილს. ასე მაგ.: პირველ ნაწილში მომხსენებელი იმ აზრს ატარებდა, რომ საქართველოს დამარცხება შედეგი იყო მართველთა უვიცობის, ჩვენი მთავრობის პოლიტიკის, რის წყალობითაც ქართველ მხედრობას არ მიეცა საშუალება თავის ქვეყნის დაცვის საქმეში მონაწილეობა მიეღო და შეექმნა რეგულიარული ჯარი; — მეორე ნაწილში კი ავტორი ამტკიცებს, რომ ქართველი მხედრობა მოწოდების სიმადლეზე არ აღმოჩნდა, რომ მას სარდლობა არ უფარგოდა, რომ გამარჯვება შესაძლებელი იყო, მაგრამ სარდლობამ დაგვამარცხა და სხვ. — ამგვარად, დამარცხების პასუხისმგებლობა, რომელიც პირველ მოხსენებაში მან სამართლიანად მთავრობას დააკისრა, ესლა მთლიანად მხედრობაზე გადაიტანა.

ეს ორი დებულება შეუთავსებელია; ან ერთია მართალი, ან მეორე.

თუ მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა ჯარის შესაქმნელად, თავდაცვის მოსაწყობად და მხედრობამ ურჩობა გაუწია და თავისი მოვალეობა არ შეასრულა, მაშინ, რასაკვირველია, ნაკლებ დამნაშავეა ბ-ნ ნ. ჟორდანიას მთავრობა და პასუხისმგებელია მხედრობაც, მაგრამ მ შემთხვევაში სიმართლეს მოკლებულია ბ-ნი გაბაშვილის მოხსენების პირველი ნაწილი, სადაც საწინააღმდეგო დებულებაა მოცემული. — ან პირიქით: მთავრობამ ჯარი არ შექმნა, მხედრობას საშუალება არ მისცა ქვეყნის თავდაცვის საქმე მოეწყო, როგორც ამას მოხსენების პირველი ნაწილი ამტკიცებს, და ამიტომ ჩვენი დამარცხების პასუხისმგებლობა მხოლოდ მთავრობას ედება. ეს დებულება კი სრულიად აბათილებს მოხსენების მეორე ნაწილს.

ეს აშკარა წინააღმდეგობა არ შეიძლება ბოდა თვით მომხსენებელს არ შეემჩნია. მაგრამ ეტყობა საქიროდ დაინახა წინა მოხსენების უარყოფა და ახალი თეზის წამოყენება. ამ ახსნას ადასტურებს თვით მოხსენების დაულაგებლობა, საბუთების სისუსტე და მომხსენებლის ისეთ დარგში შეჭრა, სადაც მისი აზრი ვერავისათვის დამაჯერებელი ვერ იქნება.

სამხედრო ოპერაციების სწორი ანალიზი მხოლოდ სათანადოთ მომზადებულ სპეციალისტებს შეუძლიათ; ამიტომ გაუგებარია, როცა სამხედრო განათლებას სრულიად მოკლებული ადამიანი სტრატეგისობის პრეტენზიით გამოდის. უფრო მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ცნობილი ფაქტების შეგნებულად დამახინჯება. ამ გარემოებამ მოხსენებას აზრი დუკარგა და ბ-ნ გაბაშვი-

რავლესობით მიიღო ეროვნული თავდაცვის პროექტი. მხოლოდ სხდომის შემდეგ კულისებში მთავრობის თავჯდომარეს შემოენვია პროკომუნისტური სოციალისტები და პროსოციალისტური რადიკალები და ჰკითხეს: „რას ნიშნავს დასკვნებს გავაკეთებო“? ეს იმას ნიშნავსო, უპასუხა მთავრობის თავჯდომარემ, რომ „თუ უნდობლობა გამომიცხადეთ, სენატში წავალ და მეორე დღეს თქვენ თქვენს სახლში წაბრძანდებით, მე არა მსურს, რომ ჩემი წასვლით 6 თებერვალი კიდევ განმეორდეს“-ო. ეროვნული მთავრობის თავჯდომარე საქირო ენით ელაპარაკება იმათ, ვისაც თავისუფლება მხოლოდ თავიანთი თავისათვის სურთ და სხვებისათვის კი ციხე და სიკვდილი.

ორიჯანი

ლის მიერ დასმული ძირითადი კითხვა სრულიად უპასუხოდ დარჩა.

ამიტომ საქიროა საკითხს კვლავ დაუბრუნდეთ: — რად დავმარცხდით 1921 წ.?

ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება: — დავმარცხდით, რადგან სუსტი და საომრად მოუზნადებელი ვიყავით.

გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან სჩანს, რომ ტფილისთან ბრძოლების დროს, მტრის ჯარის რიცხვი უდრიდა 35 ათასს; ჩვენი ჯარი კი ათი ათასსაც არ აღწევდა. გარდა ამ რიცხვითი უპირატესობისა, მტერი მოქმედებდა გარკვეული მიზნით და რაც მთავარია დამუშავებული გეგმით.

საქართველოს კი სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის შემდეგ სახელმწიფოს თავდაცვის გეგმაც არ აღმოაჩნდა. კიდევ მეტი: ჩვენ მთავრობას ხელთ ჰქონდა ურყევი დოკუმენტი — ჰეკერის მოხსენება — საიდანაც ნათელი იყო, რომ ბოლშევიკები საქართველოზე თავდასხმას ამზადებდნენ და ამის საპასუხოდ ახალი მობილიზაციის ნაცვლად, საქართველოს მთავრობა დემობილიზაციის აცხადებს; ამიტომ 16 თებერვალს, ფაქტურად წაგებულ ომში, მთავარ სარდლად დანიშნულ ღენ. კვინიტაძეს არა თუ არა ჰყავს ომის გასაგრძელებლად საქირო ჯარი, არამედ მას არა ჰხვდება ქვეყნის თავდასაცავად საწარმოებელი ომის გეგმაც. მაშასადამე, მთავარსარდალს უნდა შეზიარდ ემოქმედნა რიცხვით ოთხჯერ მეტ და განსაზღვრული გეგმით მოქმედი მტრის წინააღმდეგ.

ასეთ პირობებში გამარჯვება მხოლოდ რაიმე სასწაულის წყალობით შეიძლებოდა და ბუნებრივია, რომ დავმარცხდით.

აქ მთავარი საკითხია, რად ვიყავით ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში, რომ 35-40 ათასი რუსის მიერ საქართველოს დაპყრობა ბუნებრივად მისაჩნევია?

ცნობილია, რომ დიდი ომის დროს საქართველომ რუსეთის დასაცავად 150 ათასი ჯარისკაცი გამოიყვანა; მაშ როგორ მოხდა, რომ თვით საქართველოს დასაცავად ჩვენს ჯარში მხოლოდ 9-10 ათასი კაცი გვყავდა?

სად იყვნენ სხვები, სად გაჰქრა თუნდაც ის ნახევარი მილიონი ხმა, რომელმაც მენშევიკური მთავრობა აირჩია?

ამ მოვლენის ახსნა საქართველოს შინაურ მდგომარეობაში და კერძოდ ჩვენი ყოფილი მთავრობის პოლიტიკასა და პრაქტიკაში უნდა ვეძიოთ.

ვისგან უნდა შემდგარიყო ქართული ჯარი? საზოგადოების რომელ ნაწილს ენდობოდა საქართველოს მთავრობა იმდენად, რომ ხელში იარაღი მიეცა?

თავდაზნაურობას? — ამაზე ხომ ლაპარაკი უნდმეტია! მიუხედავად ამ წოდების უკეთილშობილეს აქტისა, ბოლშევიკებმა მხოლოდ ბოლომდე მიიყვანეს მათ წინა-

აღმდეგ ჟორდანიას მიერ დაწვებული რეპრესიები.

სასულიერო წოდებას? — ამათი დარბევაც ხომ ჟორდანიას მთავრობამ დაიწყო! ნ. ჟორდანია პირველი ქართველია, ვინც საქართველოს კათალიკოსს უხეშად შეურაცყოფა გაუბედა! ამ შემთხვევაშიც ბოლშევიკებმა მხოლოდ ლოლიკურ დასკვნამდე მიიყვანეს ბ-ნი ჟორდანიას საქმე!

ვაჭარ-მრეწველებს? — ამათაც ხომ თავდაზნაურებთან ერთად ყარაიაში ტყის საქრელად გზავნიდნენ!

იქნებ გლეხობას ენდობოდა ჩვენი მთავრობა? — აი რასა სწერს ამ საკითხზე ბ-ნი ჟორდანია: — „საქართველოს რესპუბლიკას და რევოლუციას შესაძლებელია მოელოდეს შიგნიდან ერთად-ერთი საფრთხე გლეხობისაგან. ამ საფრთხის ნიშნები უკვე არის. მოძრაობაში ის მონაწილეობას იღებს როგორც ვეებერთელა დამრღვევი ძალა.. ჩვენ იმდენად დავგავიწყდა მარქსიზმი და დავუჯერეთ ესერულ „აზრებს“, რომ დღემდე ზოგიერთი ჩვენში ამ გლეხებს იღებს, როგორც რევოლუციონერებს და დიდის ყოყმანით თანხმდებიან მათ წინააღმდეგ რეპრესიების მიღებაზე. დროა ბოლო მოვუღლოთ ჩვენს სოც.დემ. პარტიაში ნაროდნიკულ ილიუზიების ბატონობას. დროა დავუბრუნდეთ მარქსს და მაგრად დავდგეთ გლეხების რეაქციისაგან რევოლუციის დაცვის ნიადაგზე.“ *)

ამ ტირიდას განმარტება არ სჭირდება. აქ ყველაფერი აშკარაა!

როგორც ვხედავთ, საქართველოში არსებულ ცოცხალ ძალებს ჩვენი მთავრობა არ ენობოდა და რადგან ქართული ჯარის შემადგენლობა სწორედ ამ ძალებიდან უნდა შემდგარიყო, მთავრობამ უარი სთქვა თვით ჯარის შექმნაზე.

ასეთი მტრული მოსახლეობის შეიარაღება მთავრობისათვის მართლაც სახიფათო იყო, რადგან ხალხში ხელოვნურად ჩაკლული პატრიოტიზმი თანდათან იღვიძებდა და მისი კონფლიკტი სოციალისტურ მთავრობასთან აუცილებელი ხდებოდა. ეს პერსპექტივა ბ-ნი ჟორდანიასათვის სრულიად ცხადი იყო, ამიტომ ყოველი ღონე იხმარა ჯარი არ შექმნილიყო და მოსახლეობა არ შეიარაღებულყო.

მაშ ვის ენდობოდა ბ-ნი ჟორდანია? ვისი იმედი ჰქონდა საქართველოს დასაცავად, ახალი სახელმწიფოს შინ და გარედ განსამტკიცებლად? ამ კითხვაზე თვითონვე პასუხობს: „ჩვენი სახალხო გვარდია და შეგნებული მუშები როგორც ტფილისის, ისე პროვინციის, განსაკუთრებით ტფილისის — აი ვინ არის ჩვენი სახელმწიფოს ნამდვილი აღმშენებელი“. (იხილეთ ნ. ჟორდანიას: — „სოც. დემოკრატია და საქ. სახელმწიფოს ორგანიზაცია“).

როცა ამ აბსურდს ჰკითხულობ, ვერ აგინსნია, როგორ შეიძლება ასეთი რამ ნორმალურ ადამიანს წამოსცდეს! და რაღა ბედის უკუღმართობით ასეთი „სახელმწიფო კაცი“ ქვეყნის სათავეშიც მოექცა, საქართველოს დაღუპვისაგან ვერაფერი იხსნიდა. ასეთ „შორსმჭვრეტელ“ ადამიანებს მხოლოდ სახლისათვის ცეცხლის წაქიდება შეუძლიათ!

აკი წავიკიდა და დავწვა კიდევ! — სამშობლო დავვიკარგა!

აქ დამნაშავე საიბებარი არ არის. მთელი პასუხისმგებლობა ნ. ჟორდანიას და მის მთავრობას ადევს.

ამ მთავრობამ საქართველო რუსეთს გადასცა. ეს ისტორიული ობიექტიური ფაქტია, რომელსაც დაქირავებული გეჟილები ვერაფრით შესცვლიან.

ალ. ქართველი

*) იხილეთ ალ. ასათიანის: „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“, გვ. 108.

ხალხთა ლიგის დამხმარე ასოციაციის

ენისის 2-ს შესდგა ხალხთა ლიგის დამხმარე ქართული ასოციაციის კრება. ბ. გ. გვაზავამ, რომელიც ასოციაციის მიერ დელეგატებად იყვნენ გაგზავნილი ქ. ფოლკესტონში, ხალხთა ლიგის დამხმარე ასოციაციის საერთაშორისო კავშირის ყრილობაზე ქართული ინტერესების დასაცავად, დამსწრეთ ჩააბარეს თავიანთი მოქმედების ანგარიში.

მომხსენებლებმა დაახასიათეს ის პერიპეტეები, რომელიც ქართულმა საკითხმა გამოიარა, როგორც ამ ყრილობის კომისიებში, ისე მის პლენუმზე. მოხსენებიდან გამომიკვამ, რომ დიდი ქვეყნების დელეგაციები, როგორც საფრანგეთის, ინგლისისა და შვედეთის შტატებისა და სხვ. აშკარად წინააღმდეგ გამოსულან იმ რეზოლუციისა, რომელიც ქართულ დელეგაციას ჰქონდა წარდგენილი და რომელიც, უმინებდა რა რუსეთს, სთხოვდა ხალხთა ლიგას აისრულებია თავისი 1922 წ. და 1924 წ. რეზოლუციები საქართველოს შესახებ გამოტანილი და ლიგაში შემოსვლის პირობად რუსეთისათვის დაედვა მისგანვე დარღვეული საერთაშორისო ვალდებულების ასრულება, საქართველოდან საოკუპაციო

ჯარის გაყვანა და ამით ხელი შეეწყოს საქართველოს ნორმალურ პირობებში ჩაყენებისათვის.

ამ დიდი ქვეყნების წარმომადგენლებს განუცხადებიათ, რომ თვით ხალხთა ლიგის ინტერესი და საერთოდ საერთაშორისო დაზავების ინტერესიც მოითხოვდა რუსეთის შემოსვლას ხალხთა ლიგაში და რომ ამიტომ ისინი ამ საქმეს არ დააბრკოლებდნ საქართველოს გულსათვის, თუმცა ამ უკანასკნელის მიმართ აღსავსენი იყვნენ სიმპატიით და კეთილი სურვილებით.

პატარა ქვეყნების დელეგატები კი თურმე თავგამოდებით იცავდნ საქართველოს საკითხს, კერძოდ უნგრეთისა და ავსტრიის დელეგატებს მხურვალე სიტყვები წარმოუთქვამთ ქართული თეზის სასარგებლოდ.

ბოლოს ქართული დელეგაცია იძულებული გამხდარა დაეთმო და თავის რეზოლუციიდან ის ადგილები ამოეღო, რომელიც დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგობას იწვევდა, რადგან ამ შემთხვევაში ტექსტის ერთხმად მიღებას შეუძლებიან და ეს დააბრკოლა კიდევაც შეუძლებელია. აქვე იბეჭდება მიღებული რეზოლუციის ტექსტი

ფოლკესტონის რეზოლუცია

გასული მაისის 19-24 რიცხვებში ინგლისში, ქ. ფოლკესტონში, მოხდა პლენარული ყრილობა ხალხთა ლიგის დამხმარე ასოციაციისა საერთაშორისო კავშირისა, სადაც საქართველოს შესახებ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლუცია: —

- „მე-18 ყრილობამ მიიღო რა სახეში, რომ
- 1. საქართველო, რომელიც ოც საუკუნეზე მეტი ცხოვრობდა დამოუკიდებელი ცხოვრებით, მოსპობილ იქნა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო 1801 წ. რუსეთის იმპერიის ძალმომრეობით წინააღმდეგ და გათელვით იმ ხელშეკრულებისა, რომელიც მასთან მართებულად იყო დადებული 1783 წ.;
- 2. საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა 26 მაისს 1918 წ. და ეს აქტი ერთხმად იქნა დადასტურებული საყოველთაო არჩევნების გზით შემდგარი დამფუძნებელი კრების მიერ;
- 3. თანახმად 1920 წ. 7 მაისს მართებულად დადებული ხელშეკრულებისა, „საბჭოთა რუსეთი აღიარებს ურეზერვოდ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და თავისი ნებით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ

უფლებზე, რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა ქართველი ხალხისა და მისი ტერიტორიის მიმართ;

4. საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად ცნობილი იყო ყველა იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც უმაღლეს საბჭოში იყო წარმოდგენილი და აგრეთვე ბევრ სხვა ქვეყნის მიერ.

5. ერთი თვის შემდეგ საბჭოთა რუსეთი შემოესია საქართველოს და დაიჭირა მისი ტერიტორია, წინააღმდეგ თავისი საერთაშორისო ვალდებულებათა; მოაგონებს რა ხალხთა ლიგის ყრილობის ყურადღებას საქართველოს ამ მდგომარეობასა და იმ ორ რეზოლუციას, რომელიც ხალხთა ლიგის ყრილობამ მიიღო 22 სექტემბერს 1922 წ. და 25 სექტემბერს 1924 წ. და სადაც იგი „მოუწოდებდა საბჭოს გულმოდგინედ თვალყურს ედევნებინა მოვლენათა განვითარებისათვის ამ მხარეში, რომ მოხერხებული შემთხვევის დროს ხელი შეეწყოს, პაციფიური და საერთაშორისო უფლების წესებთან შეფარებული საშუალებებით, მის ნორმალურ პირობებში დაბრუნებისათვის“.

ბიბლიოგრაფია

Georges Gvazava: La phase actuelle du problème Géorgien. ბროშურა დაწერილია პროპაგანდის მიზნით უცხოელთა შორის; შეიცავს სულ 30 გვერდს და დაყოფილია რამოდენიმე სათაურად. აღძრული საკითხები მოხაზულია მოკლედ და გაკვირით. სულ ოცდაათი დეკლარაციისა მომწვედელი საქართველოს ისტორიული მიმოხილვა. ამას მოსდევს რუსეთ-საქართველოს 1783 წ. ხელშეკრულება და აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელის ძალით რუსეთი ვალდებული იყო დაეცვა საქართველოს სამეფო ტახტი და მისი ტერიტორიული მთლიანობა. ამის შემდეგ ავტორი მოგვაცხადებს რუსეთის იმპერატორის სახელწოდებას: „ავტოკრატი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და ... მეფე საქართველოსა“ და იმას, რომ რუსეთის დერბაზში, რომელიც იმპერიის ბეჭედზე იყო ამოჭრილი, აგრეთვე საქართველოს სამეფოს

ბეჭედიც იყო მოჭედილი — არგუმენტი იმისა, რომ საქართველო რუსეთის იმპერიაში შედიოდა, როგორც პოლიტიკური ერთეული. შემდეგ სათაურში მოთხრობილია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი. სიხანს, ავტორს უგრძობია, რომ აქტის შესავალი მაინც და მაინც საამაყო არ იქნებოდა ჩვენი ეროვნული დიქსიონარისათვის და მისთვის ძალიან ჰქვიათ გვერდი აუქცივია, სამაგიეროდ მოყვანილი ჰყავს აქტის ექვსი მუხლი. ამის შემდეგ მოდის საქართველოს კონსტიტუციის ამბავი. ავტორი ამბობს, რომ ეს კონსტიტუცია არ არის (?) სპეკულატიური აზროვნების ნაყოფი, არამედ იგი „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილი ხალხის აზრისა და გონების ნამდვილი (?) გამოსახულებაა. ეს იმდენათ საბუთი არაა, რამდენათაც სურვილი და ხერხი იმისათვის, რომ ავტორს უცხოელი მკითხველისათვის სიტყვა ჩამოეგდო ჩვენს უკვდავ შოთაზე და მის დიდ-

ბულ ნაწარმოებზე... „გოეტე ცხოვრობდა მე-19 საუკუნეში, დანტე ალიგიერი მე-14-ში, რუსთაველი კი მე-12 საუკუნეში. მან მოგვცა „ვეფხისტყაოსანი“ იმ დროს, როდესაც ევროპას, მიუხედავად იმ დიდებული მემკვიდრეობისა, რომელიც ანტიური ქვეყნებისაგან მიიღო, ჯერ კიდევ ამისი მზავისი გონების დარღვი არაფერი შეექმნა“-ო, ამბობს ავტორი. ამის შემდეგ მოდის საქართველოს იურიდიული ცნობის ამბავი, რასაც მოსდევს საქართველო-რუსეთ შორის, ეს უკვე მეორე, 1920 წ. დადებული ხელშეკრულება, საიდანაც მოყვანილია უმთავრესი მუხლები. შემდეგი სათაური ეხება რუსეთის თავდასხმას საქართველოზე 1921 წ., რასაც მოსდევს აჯანყებათა ამბავი და ხალხთა ლიგა.

ბროშურა ცოცხლად არის დაწერილი და თავის დანიშნულებას აღწევს. არის მატერიალური შეცდომა: — უკანასკნელი ომის დროს ქართული ჯარის საოფიცრო კადრი არ ყოფილა შემდგარი, როგორც ამას ავტორი ირწმუნება, ტფილისის ქართული სამხედრო სკოლიდან გამოსული ოფიცრებისაგან, — სამწუხაროდ ამ სკოლას ეს არ დასცალდა.

მაგრამ ჩვენ ვერ გაგვივია, თუ რა საჭირო იყო ამ იურიდიული და პოლიტიკური ანალიზის ტექსტში ქართველი ახალგაზრდა ქალების ან ხორციელი ვნების აღმძვრელი ცეკვა, ან მათი აბრეშუმის კაბებში გამოხვეულ ფეხების დესკრიპცია? ამ მხრივ ბროშურა სხვერპლია ავტორის მოუსვენარი „პოეტური მუხისა“...

პრემისა

იტალია, რუსეთი და ხალხთა ლიგა იმ ხმების გასაბათილებლად, თითქოს იტალიის დიპლომატიური სფეროებმა უკმაყოფილოდ შეხედნ ხალხთა ლიგაში რუსეთის შესვლის საკითხს, გაზეთი „ტან“-ის რომელ კორესპონდენტს მოჰყავს „ჯიორნალე დ'იტალიის“ აზრი, სადაც ნათქვამია, რომ იტალიის რეზერვები ხალხთა ლიგის მიმართ, სრულებით არ შეეხება მოსკოვს; რომ ფაშისტური მთავრობა, არამც თუ წინააღმდეგობას არ გაუწევს რუსეთის ხალხთა ლიგაში შესვლას, არამედ მთელი თავისი ძალდონით და სრულიად უპირობოდ მას მხარს დაუჭერს. ამ საგანზე ჩვენებულ კორესპონდენტი განაგრძობს: —

„ეს პოზიცია არავის გააოცებს, ვინაიდან დიდი ფაშისტების დამყარებისა, რუსეთ-იტალიის ურთიერთობა უფრო და უფრო მჭიდრო ხასიათს ღებულობდა. მუსოლინის იტალია იყო პირველი დიდი სახელმწიფო, რომელმაც იცნო საბჭოთა რუსეთი 1923 წ. მას აქედან განუწყვეტელად მოდის ამ ორი ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობა საერთაშორისო სფეროში. ასე მაგ. იტალიის და საბჭოთა რუსეთის დელეგაციებმა ერთ სამოქმედო ხაზს მისდევდნ, როგორც განიარაღების კონვენციის დაწყებისას, აგრეთვე ევროპული კავშირის საკითხშიაც უდავო ფაქტია, რომ რუსეთი მოსკოვიან თანამშრომლობის გზაზე მსოფლიოს მთავრობა არასდროს ერთი წუთითაც არ შეუპოვებია არც წინააღმდეგ და არც სოციალ-პოლიტიკურ მოსაზრებას. ფაშისტური მთავრობის ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც სწრაფად იწყებს მისი იყენებას, რომ ახალი რუსეთი, რანაირიც არ უნდა ეკავილიყო საბჭოთა თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაცია, პოლიტიკური და ბოლომდე მარცხისტული მოიპოვებდა. მათი აზრით რუსეთმა უკვე სამუდამოდ მოახდინა მსოფლიო რევოლუციის იდეის ლიკვიდაცია, ან რომ იგი ყოველ შემთხვევაში უფადოა აქვს გადადებული... ფაშისტური იტალიას არასდროს ყურადღება არ მიუქცევია მოსკოვის პოლიტიკური იდეოლოგიისათვის. დუ-

ჩე საბჭოებს არასდროს თავს არ დასხმია პუმიანტარული პრინციპების სახელით და არასოდეს ანტიბოლშევიკური ხაზი არ უწარმოებია საგარეო პოლიტიკაში. იყო ერთი მომენტი, როდესაც მოსალოდნელი იყო, რომ იტალიის სიმპატიები ჰიტლერის გერმანიისადმი რუსულ-იტალიურ ურთიერთობაზე ცუდ შედეგს მოიღებდა... ეს შესაძლებლობა იტალიას სულ ახალ მდგომარეობაში ჩააყენებდა; პირველ ყოვლისა, მას ხმელთა-შუა-ზღვაში გაამარტოებდა, რასაც საერთოდ მთელი მისი პოლიტიკის ჩაფუშვა მოყვებოდა. მართლაც, უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ფაშისტურ იტალიას ძლიერი პოზიციები აქვს შეძენილი, როგორც შავის ზღვის ბასენში, ისე აღმოსავლეთში. დღეს დარდაწინა პირველი ადგილი მის დროშას უჭირავს. ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო გართულების დროს, მას უკვე მოგვარებული დაუხვედება პურის, ნახშირისა და ნავთის საკითხი. და თუ თეთრი დათვი ერთ დღეს ამას არ მოისურვებდა, მთელი ეს იმედი იტალიას ერთი დაკვირვებით ჩაეფუშებოდა. უეჭველია, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იტალიამ შარშან რუსეთთან დასდო მეგობრობის თავდაუსხმელობის და ნეიტრალიზაციის პაკტი, რაკი უნაყოფო გამოდგა მისი ცდა რუსეთ-გერმანიის გამწვავებული ურთიერთობის განცდებისა.

ამ პაკტს რუსეთ-იტალიის ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა სერიაში მეხუთე ადგილი უჭირავს. მართლაც, მას წინ უძღოდა ოთხი საკომერციო კონვენცია. ეს არის ახალი საბუთი იმისა, რომ რუსეთის მიმართ იტალია აწარმოებს ეკონომიური აუცილებლობის რეალისტურ პოლიტიკას, რომელიც ნაკარნახევია ზოგიერთი ნედლი მასალის უქონლობით, ისევე როგორც მის მდგომარეობით ხმელთა შუა ზღვაში. რუსეთთან თავისი კეთილი განწყობილების შენახვაში იტალია ემორჩილება გეოგრაფიულ ისტორიულ და ეკონომიური ბუნების ძალებს. აი ის მოსაზრებანი, რომელთა ძალით იტალია რუსეთს მხარს დაუჭერს ექნევაში, სრულიად უპირობოდ.

ოსმალეთი

ოსმალეთის მთავრობა დიდ ენერჯიას იჩენს ეროვნული თავდაცვის გაძლიერების საქმეში. მთავრობამ დაადგინა ერთსა და იმავე დროს ჯარის რიცხვის გადიდებაც და დაცვის საშუალებათა გამრავლებაც. კერძოდ არტილერიის გარდაქმნა და გაძლიერება და ახალი სტრატეგიული ხაზების გაყვანა. ეს პროგრამა მოითხოვს ახალ ხარჯებს, რომლის დასაფარად განზრახულია ახალი გადასახადების შემოღება და ზოგიერთი ძველი გადასახადის გადიდება. ოსმალეთის პრესა და საზოგადოება იწონებს მთავრობის მიერ მიღებულ პროგრამასა და ღონისძიებას, ვინაიდან დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა მას მიაჩნია მეტად მძიმედ და სახიფათოდ.

შეცდომის გასწორება

„საქარ. გუშ.“-ის № 5 მოთავსებულ წერილში — „ბ-ნ ნ. ყორდანის საყურადღებოდ“ — ჩამოთვლილ პირთა შორის, რომელნიც პოლიტიკურ დაჯგუფებების წარმომადგენელთა 18 თებერვლის კრებას დაესწრენ, გამოტოვებულია რამოდენიმე პირი. დამსწრეთა სრული შემადგენლობა შემდეგი იყო: — რ. არსენიძე, გ. კერესელიძე, ს. კელია, შ. ამირაჯიბი, ფ. წულუკიძე, კ. დადიანი, ვიკ. ცხაკაია, დ. ვაჩნაძე, ი. გობეჩია, ფ. შარაძე, ს. მენაღარაშვილი, გ. გვაზავა, ვ. წულაძე, გ. ცხაკაია, შ. აბდულშელი, ვ. ნოზაძე და ა. სულხანიშვილი.